

თვითმმართველი ერთეული
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი



ერთეულებიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით რკინის მილების შესყიდვის
სატენდერო დოკუმენტაცია

(CPV44100000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ხარაგაული

2016 წელი

ტექნიკური დოკუმენტაცია.

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს

> ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2016 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის რკინის მილების შესყიდვა.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 3000 (სამიათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

(იხილეთ: შესყიდვის ობიექტის ხარჯთაღრიცხვა დანართი №1).

შესყიდვის ობიექტის ხარჯთაღრიცხვა (დანართი N1)

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები	შესყიდვის ობიექტის რაოდენობა მეტრებში	რაოდენობა ცალი	მწარმოებელი ქვეყნის დასახელება	მწარმოებელი კომპანიის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი (ლარი)	შესყიდვის ობიექტის ჯამური გრძობი მეტრის ფასი (ლარი)
ლითონის მილი ჯამური გრძობით არანაკლებ 60 მეტრი სიგრძის	არანაკლებ 40 მმ-იანი დიამეტრის, სიგრძით არანაკლებ 2 მეტრიანი, კედლის სისქით არანაკლებ 3 მმ -იანი	ცალი	30 ცალი (2 მეტრიანი)				
ლითონის მილი ჯამური გრძობით არანაკლებ 180 მეტრი სიგრძის	არანაკლებ 100 მმ-იანი დიამეტრის, სიგრძით არანაკლებ 6 მეტრი, და კედლის სისქე არანაკლებ 3 მმ -იანი	ცალი	30 ცალი (6 მეტრიანი)				
შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება							0

პრეტენდენტთა საყურადღებოდ

1.1 ა) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტ(ებ)ის მიერ ატვირთული ყველა დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. (დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

ბ) პრეტენდენტი ვალდებულია ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე შეისწავლოს ტექნიკურ დავალებაში მოცემული შესყიდვის ობიექტის აღწერა და გამოვლენილი უზუსტობების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს.

წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე პრეტენზია არ განიხილება.

1.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა:

ა) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი:

შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს დანართი N1-ის შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულ(ებ)ში:

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:

შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში.

1.3 ფასების ცხრილი (დანართი №1).

1.4 ა) პრეტენდენტის მიერ ფასების ცხრილი (დანართი №1) წარმოდგენილი უნდა იქნეს დ.ღ.გ-ს გარეშე. (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული); ხოლო თუ პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად რეგისტრირებული იქნება დღგ-ს გადამხდელად ხელშეკრულების ღირებულებაში დამატებული იქნება დღგ-ს ოდენობა:

1.4 პრეტენდენტის მიერ დაბალი ფასის დაფიქსირებისას, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესაბამისი ტენდერის, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე შემსყიდველისაგან პრეტენდენტს მოეთხოვება, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით ან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით და ინვოისით) რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2. ტექნიკური მოთხოვნები:

როგორც ურთიდული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ტექნიკური მოთხოვნების სახით პრეტენდენტ(ებ)მა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინონ !

- ფასების ცხრილი (დანართი №1).
- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები: (დანართი №2).

დამატებითი ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საკონტაქტო პირისაგან (სატენდერო კომისიის აპარატის წევრი): ზურაბ იჩქიტაძე ტელ. № 599-85-26-05 558-115-125.

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება.
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი.
- საიდენტიფიკაციო კოდი/ნომერი.
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი.
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ფაქსი. მობილური.
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება.
- ბანკის კოდი.
- ანგარიშსწორების ანგარიში №.

პრეტენდენტის ხელმოწერა

ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება № _____

ხარაგაული:

“ ___ ” _____ 2016 წელი.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ თოფურიძის სახით. (მისამართი: ხარაგაული 9 აპრილის, ქ.15.

მეორეს მხრივ, შპს „___“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, _____ სახით, (მისამართი: _____, _____) ტელ: _____ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებელი“- ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, №SPA00000000 ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6 „შესყიდვის ობიექტი” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია” – მიმწოდებლის მიერ №SPA_____ ერთეტაპიან გამარტივებული ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 რკინის მილების შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში:

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი – CPV44100000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ----- (-----) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფს „შემსყიდველი“, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა საშუაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ „შემსყიდველი.“

4.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის მიერ.

4.5. ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს მოწოდებული საქონლის ხარისხს, მოწოდების ვადებს და შესყიდვის ობიექტის ჩაბარებისას წერს შესაბამის დასკვნას.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დანართი N1-ის შესაბამისად.

5.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2016 წლის — —
———— ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ერთჯერადად ან ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად.

6.2. შესყიდვის ობიექტის ჩაბარების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის მოწოდების დადასტურების
———— დღე.

6.4 შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო, ეროვნული ვალუტით ლარში;

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ერთჯერადად ან/და ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს **15 (თხუთმეტი)** კალენდარული დღის განმავლობაში;

8. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა

8.1 შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება **1 (ერთი)** წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 „მიმწოდებელმა“ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

12.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

–შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია.

12.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

– უზრუნველყოს „მიმწოდებელი“–ს მიერ მოწოდებული საქონლის მიღება და შესაბამისი ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი“–ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

13.1. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით — (—) ლარი შემსყიდველის სასარგებლოდ.

13.2. თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადას, შესყიდვის ობიექტის მოწოდების დაგვიანებით მიწოდებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების (დაკისრებული პირგასამტეხლო) ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 და 13.2 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

13.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

13.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

13.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების მე-13.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყოვნებლივ;

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. დაუძლეველი ძალა

15.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

15.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. გადასახადები და დაბეგრვა

17.1 „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

19. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

*თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ს/კ 243570989
მისამართი. ხარაგაული 9 აპრილის ქ. N15
ტელ. 0433220073
მობ. 599852605
სს ლიბერთი ბანკის ხარაგაული ფილიალი
ა.ა GE81LB0120141455357000*

*მუნიციპალიტეტის გამგებლის
ნიკოლოზ თოფურიძე*

მიმწოდებელი:

*შპს „
ს/კ
მისამართი.
მობ.
სს
ა.ა. GE*

*შპს „
დირექტორი*
